


## საზოგადოებრივი მაუწყებელი წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგების გამოქვეყნებას იწყებს.

პირველი არხის და საქართველოს რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის  მონიტორინგი პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი მიმდინარეობს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით,

ხოლო გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფენ  სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემების სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკის შესაბამისად გაიზომება:

- **გაშუქებული თემა დათმობილი დროის მიხე დვით**
- **გაშუქებული სუბიექტი დათმობილი დროის მ იხედვით**
- **სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქება და თმობილი დროის მიხედვით**
- **სუბიექტის გაშუქება ტონის მიხედვით (პოზი ტიური, ნეგატიური, ნეიტრალური)**

მედიამონიტორინგის ცალკეული კომპონენტები გამოქვეყნდება ყოველკვირეულად, მთლიანი ანგარიში კი – საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ.

მიმდინარე მონიტორინგის პირველ  შედეგს წარმოადგენს ,,მოამბის'' ყველა გამოშვებაში გაზომილი საარჩევნო სუბიექტები დათმობილი დროის მიხედვით. სლაიდი მოიცავს პირველიდან 14 სექტემბრის ჩათვლით, ,,მოამბის'' ყოველდღიურ გადაცემებს:

- მოამბე (08:00)
- მოამბე (09:00)
- მოამბე (10:00)
- მოამბე (12:00)
- მოამბე (15:00)
- მოამბე (18:00)
- მოამბე (21:00)

პარტიები აღნიშნულია სახელწოდებებით, რომლითაც ისინი მონაწილეობენ არჩევნებში. მონაცემები აღებულია ცესკოს ოფიციალური ვებგვერდიდან. სუბიექტების უკეთ აღქმისა და იდენტიფიკაციისთვის ჩამონათვალს დავურთეთ პარტიების ლოგოტიპები.

ცესკოში, 14 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული პარტიების გარდა, მონიტორინგი მოიცავს არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატების გაშუქების ხანგრძლივობას ჯამურად, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების შუალედურ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისთვის დათმობილ დროს.

მონიტორინგის მიხედვით, გაშუქება ხორციელდება საარჩევნო სუბიექტების აქტივობის შესაბამისად. სულ გაშუქდა 30

რეგისტრირებული პარტია.
წარმოდგენილი  საარჩევნო სუბიექტების გაშუქებას „მოამბეში“ 03:30:00 (სამი საათი და ოცდაათი წუთი) დაეთმო. ყველაზე აქტიურ, პირველ სამ პარტიას შორის, „მოამბის“ მიერ დათმობილი დროის 1-3 წუთიანი განსხვავებაა, რაც ნიშნავს, რომ საინფორმაციო გადაცემებში დროის განაწილების ბალანსი დაცულია.

უწყვეტი მონიტორინგი და შედეგების პერმანენტული გამოქვეყნება  შესაძლებელს გახდის საარჩევნო პროცესის გაშუქებაზე დინამიკაში დაკვირვებას და საეთერო დროის თანაბარ განაწილებას საარჩევნო სუბიექტებს შორის, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულ არჩევანს.

მოცემულ სლაიდზე თითოეული სუბიექტისთვის დათმობილ დროსთან ერთად, წარმოდგენილია პროცენტული გადანაწილება, სადაც 100% არის საანგარიშო პერიოდში სუბიექტების გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟი.

(სლაიდი 1)

საქართველოს
**პირველი არხი**

მონიტორინგი

## მოამბე / 01.09.20 - 14.09.20
## საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო

| მონიტორინგის სუბიექტი | გაშუქების დრო | % |
|---|---|---|
| ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 0:33:25 | 15.91 % |
| ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 0:31:01 | 14.77 % |
| ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | 0:27:50 | 13.25 % |
| ლელო - მამუკა ხაზარაძე | 0:19:46 | 9.41 % |
| გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი | 0:15:23 | 7.33 % |
| შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 0:14:18 | 6.81 % |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 0:09:13 | 4.39 % |
| ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი | 0:09:12 | 4.38 % |
| დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 0:06:45 | 3.21 % |
| ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 0:06:31 | 3.10 % |
| ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის | 0:06:21 | 3.02 % |
| ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 0:02:25 | 1.15 % |
| ევროპელი დემოკრატები | 0:02:18 | 1.10 % |
| ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი | 0:02:16 | 1.08 % |
| ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | 0:02:07 | 1.01 % |
| არჩევანი სამშობლოსათვის | 0:01:58 | 0.94 % |
| ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 0:01:44 | 0.83 % |
| პროგრესი და თავისუფლება | 0:01:28 | 0.70 % |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა - ქდმ | 0:01:09 | 0.55 % |
| საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტია | 0:01:05 | 0.52 % |
| ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 0:01:01 | 0.48 % |
| გირჩი | 0:00:59 | 0.47 % |
| სოციალური სამართლიანობისათვის | 0:00:54 | 0.43 % |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა | 0:00:50 | 0.40 % |
| პარტია თეთრები | 0:00:46 | 0.37 % |
| სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი | 0:00:40 | 0.32 % |
| თავისუფალი დემოკრატები | 0:00:22 | 0.17 % |
| ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი | 0:00:20 | 0.16 % |
| გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 0:00:19 | 0.15 % |
| რეფორმერი | 0:00:18 | 0.14 % |
| დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები | 0:05:52 | 2.79 % |
| ადგილობრივი თვითმმართველობების შუალედური არჩევნების სუბიექტები | 0:01:24 | 0.67 % |
| სულ | 3:30:00 | 100 % |